



6713/3-26/21 2 01072021

6713/3-26/21

01-07-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, გამომიგზავნოთ ინფორმაცია, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით რამდენმა საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე. ასევე, როგორ მუშაობს აღნიშნული პროგრამა, არის თუ არა რაიმე ხარვეზი და მუშაობს თუ არა სამინისტრო ამ ხარვეზების აღმოფხვრაზე და რა ღონისძიებებს მიმართა სამინისტრომ პროგრამით სარგებლობის მეტად დახვეწის მიმართულებით ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

1
ა. ელისაშვილი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030164251566221

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/10374

14 / ივლისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხილული იქნა თქვენი წერილი N671/3-26/21, რომელშიც მოთხოვნილია ინფორმაცია მოსახლეობის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2017 წლიდან საქართველოში მოქმედებს ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც თავდაპირველად უპირატესად სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე იყო ორიენტირებული. 2018 წლის სექტემბრიდან გაფართოვდა როგორც პროგრამის მოცულობა, ასევე, მოსარგებლეთა სია. პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა საპენსიო ასაკის მოსახლეობის, შებლუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისა და მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შებლუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის, ასევე პარკინსონითა და ეპილეფსიით დაავადებული პირებისათვის, ხოლო 2019 წელს მოსარგებლეებს დაემატა ვეტერანები და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები პირები. პროგრამაში ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა ჩართულობისა და შესაბამისად, პროგრამის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, 2019 წლის 1 აგვისტოდან გაუქმდა თანაგადახდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი 2) და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მქონე საპენსიო ასაკის მოსახლეობის, შებლუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისა და აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შებლუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

აღნიშნული აქტივობების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამაში ჩართულ პირთა რიცხვი, კერძოდ, თუ 2018 წლის ბოლოს პროგრამაში ჩართულ პირთა რიცხვი შეადგენდა 29 500 პირს, 2020 წლის იანვრის მონაცემებით, ეს რიცხვი გაიზარდა 140 000-მდე.

მაღალი მოთხოვნის პირობებში მნიშვნელოვანი იყო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მექანიზმის დახვეწა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული შეფერხებები შესყიდვის, დისტრიბუციის და საცალო აფთიაქის დონეზე მარაგების მართვის პროცესში.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, 2020 წლის 1 იანვრიდან ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა მთლიანად ინტეგრირდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

აღნიშნული ცვლილებით შეიცვალა პროგრამის განხორციელების მექანიზმი, კერძოდ, ცენტრალიზებული შესყიდვის ნაცვლად პროგრამული უზრუნველყოფა ხორციელდება არამატერიალურული ვაუჩერით, რაც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: განსაზღვრულია მედიკამენტების ნუსხა, ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ბაზრის კვლევის საფუძველზე, კომისიური წესით დგინდება ფასები, პაციენტი იღებს წამალს პროგრამული სერვისის მიმწოდებელ აფთიაქში, ხოლო ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ფაქტობრივი ხარჯის ანაზღაურებას პროგრამაში განსაზღვრული წესით.

ამასთან, განახლებული მექანიზმის ფარგლებში გათვალისწინებულია გარკვეული წლიური ლიმიტები ნობოლოგიური ჯგუფებისათვის.

ამ ეტაპზე, ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ გაკეთებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, გამოიკვეთა აღნიშნული ლიმიტების არასაკმარისობა.

ლიმიტების ამონურვის მიზეზებს შორის განიხილება, როგორც ბენეფიციართა რიცხვის ზრდა, ასევე, მედიკამენტების გაზრდილი ღირებულება.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის უწყვეტობის შენარჩუნების და განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ამ ეტაპზე მოიხსნას ნობოლოგიური მიმართულებების წლიური ლიმიტები და პაციენტებს მედიკამენტები მიეწოდოს შეუფერხებლად (დადგენილების შესაბამისი ცვლილების პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის).

სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, **2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე პროგრამული მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით ისარგებლა 171,752 ბენეფიციარმა.**

აქვე გაცნობებთ, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხის, ფასისა და პირობების დადგენის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 სექტემბრის N01-489/ო ბრძანებით შექმნილია კომისია, რომელიც განიხილავს განცხორციელების პროცესში წარმოშობილ პრობლემურ საკითხებს .

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგვანის მქონე
ელემენტურულად 

თამარ გაბუნია